ხელშეკრულება

საკონსულტაციო მომსახურებაზე

იმერეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გზის საპროექტო სამუშაოების მომსახურება

№ GOG/C/D/866-114-2012

ივნისი, 2012 წელი

ხელშეკრულება

№ GOG/C/D/866-114-2012

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის, 2012 წლის 8 მაისის №866 მთავრობის განკარგულების საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის იდება ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

აღნიშნული ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) იდება **2012 წლის 25 ივნისი**, ***საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს*** („შემსყიდველი“), რომლის მისამართია *თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150* და ***შპს “საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი”-ს*** („მიმწოდებელი“), რომლის მისამართია: *ძმები კაკაბაძეების ქ. №11, თბილისი, საქართველო,* შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ **შემსყიდველი მიმწოდებლისაგან** ითხოვს ქვემოთ აღნიშნულ მომსახურებას და **მიმწოდებელი** თანახმაა აღნიშნული მომსახურების გაწევაზე.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3. მომსახურება

3.1 მიმწოდებელი შეასრულებს **იმერეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული *ინფრასტრუქტურის* გზის საპროექტო სამუშაოების მომსახურება** (CPV 71200000), განსაზღვრულს ამ ხელშეკრულების დანართში №1: „ტექნიკური დავალება და მომსახურების მოცულობა“, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (შემდგომში „მომსახურება“).

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1 მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადაა **2012 წლის 25 ივნისიდან 2012 წლის 16 ივლისის ჩათვლით,** ან ნებისმიერი სხვა ვადა მხარეთა შეთანხმებისამებრ.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2012 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.**

5. ანგარიშსწორების ოდენობა, გრაფიკი და პირობები

5.1 <u>მაქსიმალური თანხა</u>

დანართში №1 განსაზღვრული მომსახურებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის თანხას, რომელიც შეადგენს **20,000.00 (ოცი ათასი) ლარს**. აღნიშნული თანხა დგინდება იმის გათვალისწინებით, რომ იგი შეიცავს მიმწოდებლის შემოსავალს, გასავალს და სავალდებულო გადასახადებს, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს საქართველოს კონონმდებლობის შესაბამისად.

5.2 <u>წინასწარი ანგარიშწორება</u>

შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშწორება 50%-მდე. შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესაბამისად. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს შესრულების დასრულებამდე სანამ არ ანაზღაურდება წინასწარი გადახდა.

5.2 <u>გადახდის გრაფიკი</u>

ერთჯერადი გადახდა წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარმოდგენისას.

5.4 <u>გადახდის პირობები</u>

გადახდა იწარმოებს **ლარში,** არაუგვიანეს ოცდარვა (28) კალენდარული დღისა მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოუდგენს მე-6-ე პუნქტში მითითებულ კოორდინატორს გადახდის ანგარიშს სამ ეგზემპლარად.

ანგარისწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. პროექტის ადმინისტრირება

6.1 <u>კოორდინატორი</u>

შემსყიდველი კოორდინატორად ნიშნავს ***ბ-ნ თენგიზ ლაკირბაიას,*** კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის კოორდინირებაზე, ანგარიშების და სხვა წარმოსადგენი მასალების მიღებაზე და დამტკიცებაზე, აგრეთვე გადახდის მოთხოვნის მიღებასა და დამტკიცებაზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების საფუძველზე.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივადუნაკლოდ, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ხარვეზების და დეფექტების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კანონით დადგენილი წესით.

9. კონფიდენციალურობა

აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში მიმწოდებელმა არ უნდა გაამხილოს მომსახურებასთან, აღნიშნულ ხელშეკრულებასთან, კლიენტის საქმიანობასთან ან სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და კონფიდენციალურია, შემსყიდველისაგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

10. მასალების საკუთრება

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულების შესაბამისად მომზადებული ნებისმიერი სახის გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები, წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. შემსრულებელმა შეიძლება დაიტოვოს ასეთი დოკუმენტების და პროგრამული უზრუნველყოფის ასლი.

11. მიმწოდებელი არ უნდა იყოს დაკავებული განსაზღვრული საქმიანობებით

მიმწოდებელი თანახმაა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი დასრულების შემდეგაც, მას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ორგანიზაციას ეკრძალება აღნიშნული მომსახურებიდან წარმოქმნილი ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პროექტის საქონლით, სამუშაოებითა და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა (გარდა აღნიშნული მომსახურებისა და მისი გაგრძელებისა).

12. დაზღვევა

მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა: **არ გამოიყენება.**

13. ვალდებულებების გადაბარება

მიმწოდებელი არ გადააბარებს ხელშეკრულებასთან ან ქვე-ხელშეკრულებასთან ან ნებისმიერ მათ ნაწილთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. ხელშეკრულების ენა და მარეგულირებელი კანონი

ხელშეკრულება რეგულირდება *საქართველოს* საკანონმდებლო აქტებით. ხელშეკრულების ენა არის *ქართული.*

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

თუ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მაშინ ამ დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს სასამართლოს გზით, შემსყიდველის ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

16. საჯარიმო სანქციები

16.1 მიმწოდებელი გადაუხდის შემსყიდველს საჯარიმო თანხას სამუშაოების დასრულების დადგენილი ვადის გადაცილებისათვის. ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის ფასის 0.1 პროცენტს თითოეული გადაცილებული დღისათვის, რამდენი დღითაც მიმწოდებელი დააგვიანებს პროექტის წარმოდგენას.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.6 17.5 პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

18.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

18.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

18.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

18.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

18.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

19. ფასები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების დაფიქსირებული მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

19.2 იმ შემთხვევაში თუ უარესდება შემსყიდველის მდგომარეობა გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაშვები.

20. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

20.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

20.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

20.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

21. ფორს-მაჟორი

21.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების

გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

21.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

21.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ლევან ჭიჭინაძე	**ლევან ყიფიანი**
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ხელმოწერა _____	ხელმოწერა _____

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი		**შპს "საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი"**
ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის 150		ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ №11,
ს/კ: 206 074 193		ს/კ: 204 472 695
სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი		სს "თიბისი ბანკი"
კოდი: BAGAGE22		კოდი: TBCBGE22
ა/ა: **GE17BG0000000264040906**		ა/ა: **GE68TB1100000107467309**

დანართი №1: ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა

იმერეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გზის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო მომსახურეობისათვის

1. <u>შესავალი</u>

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში მგფ) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისაგან და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, და ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურებაში ინვესტირება, იმავდროულად ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას.

მგფ-ის პროგრამით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება, მათ შორისაა რეგიონალერი განვითარების პროექტი, რომელიც ფინანსდება საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის მიერ. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარება.

ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია იმერეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

2. ქვეპროექტის მოკლე აღწერა

წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს საპროექტო მომსახურებას სამი მისასვლელი გზის დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად.

სამივე ობიექტი მდებარეობს იმერეთის რეგიონში:

1) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უბისას სამონასტრო კომპლექსი.

საპროექტო მონაკვეთი იწყება თბილისი-ხაშური-ზესტაფონის ცენტრალური გზის უბისას სამონასტრო კომლექსის გადასახვევიდან და სიგრძე შეადგენს 700 მ, სიგანე 6 მ.

გზის საფარი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და საჭიროებს კაპიტალური შეკეთებას.

პროექტით გასათვალისწინებელია გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია ცენტრალური გზის გადასახვევიდან სამონასტრო კომპლექსის გავლით სოფ. უბისას სკოლამდე და მდ. ძირულაზე არსებულ ხიდამდე.

გზის საფარი უნდა მოეწყოს ქვაფენილით, გათვალისწინებული უნდა იყოს წყლის არიდების ღონისძიებები. სავარაუდოდ სარეაბილიტაციოა არსებული საყრდენი კედელი.

საპროექტო გზის პარამეტრები უნდა დაზუსტდეს ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ.

2) ჭიათურის მუნიციპალიტეტში კაცხის ეკლესია

არსებული გზა გომი-ჭიათურა-ზესტაფონის ცენტრალური გზის გადასახვევიდან კაცხის ეკლესიამდე ასფალტირებულია და ვიზუალურად ნორმალურ მდგომარეობაშია. რეაბილიტაციას საჭიროებს გზის 200 მ სიგრძის და 6მ სიგანის მონაკვეთი ეკლესიის გალავნის ბოლომდე.

იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის ადგილზე შესწავლით დადასტურდება არსებული ა/ბეტონის საფარის ვარგისიანობა, პროექტით გასათვალისწინებელია დარჩენილი გზის მონაკვეთის მოწყობა ა/ბეტონის საფარით. საჭიროების შემთხვევაში გასათვალისწინებელია წყლის არიდების ღონისძიებები და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა.

საპროექტო გზის პარამეტრები უნდა დაზუსტდეს ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ.

2) ჭიათურის მუნიციპალიტეტში კაცხის სვეტი

არსებული გზის სიგრძე გომი-ჭიათურა-ზესტაფონის ცენტრალური გზის გადასახვევიდან კაცხის სვეტამდე შეადგენს 1200 მ, აქედან დაახლოებით 400 მ-ზე მოწყობილია ცემენტობეტონის საფარი სიგანით 4.5მ, რომელიც ვიზუალურად ნორმალურ მდგომარეობაშია. რეაბილიტაციას საჭიროებს დარჩენილი 800 მ მონაკვეთი.

იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის ადგილზე შესწავლით დადასტურდება არსებული ცემენტობეტონის საფარის ვარგისიანობა, პროექტით გასათვალისწინებელია დანაღცენი გზის მონაკვეთის მოწყობა ა/ბეტონის საფარით. საჭიროების შემთხვევაში გასათვალისწინებელია წყლის არიდების ღონისძიებები და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა.

საპროექტო გზის პარამეტრები უნდა დაზუსტდეს ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ.

3. <u>დავალების მიზანი</u>

ამ დავალების მიზანს წარმოადგენს დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნება გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

3.1 დეტალური საინჟინრო პროექტის და სატენდერო მასალების მომზადება

წარმოდგენილი საინჟინრო პროექტი უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკურ დავალებაში მოცემულ ძირითად გადაწყვეტილებებს და უნდა შეესაბამებოდეს იმ ძირითად პარამეტრებს და მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია ამ სპეციფიკაციების თანდართულ დოკუმენტში - **"საპროექტო სახელმძღვანელო პრინციპები ურბანული და სოფლების დამაკავშირებელი გზებისა და ინფრასტრუქტურისათვის".**

საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს (მაგრამ შეიძლება არ შემოიფარგლოს) დეტალური პროექტის შესადგენად საჭირო საძიებო-კვლევით და საპროექტო სამუშაოებს, კერძოდ:

I. ობიექტის რეკოგნოსცირება
II. საძიებო-კვლევითი სამუშაოები
   - ტახეომეტრიული აგეგმვა;
   - სავალი ნაწილის არსებული საგზაო სამოსის კონსტრუქციის გამოკვლევა (გეოლოგიური ჭრილები);
III. საპროექტო სამუშაოები
   - საგზაო სამოსის კონსტრუქციის შერჩევა;
   - გრძივი და განივი პროფილების დაპროექტება;

- სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება;
- ხელოვნური ნაგებობების მოწყობა;
- სავალ ნაწილზე არსებული კომუნიკაციების ჭების სახურავების საპროექტო ნიშნულზე მოყვანა;
- სამუშაოთა მოცულობების საპიკეტო უწყისის შედგენა;
- სამუშაოთა მოცულობების კრებსითი უწყისის შედგენა;
- საჭირო მასალების ამონაკრები;
- საჭირო მანქანა-მექანიზმების უწყისის შედგენა;
- მშენებლობის კალენდარული გრაფიკი;

IV. მშენებლობის ორგანიზაცია;
V. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა.
VI. სატენდერო დოკუმენტაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება.

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.
მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები და გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისათვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.
პროექტს თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია.

4. კონსულტანტის შტატი

კონსულტანტმა დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის).

ყველა ექსპერტი (წამყვანი სპეციალისტი) თავის შესაბამის დისციპლინაში აღიარებული პროფესიონალი უნდა იყოს და გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილების სტაჟი.

5. ანგარიშგება და განრიგი

დავალების დაწყებიდან 1 კვირის ვადაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს საწყის ანგარიშს შესათანხმებლად. ანგარიშში ასახული იქნება ძირითად საპროექტო გადაწყვეტილებები.

დავალების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს დეტალური პროექტს შესათანხმებლად. მგფ 3 დღის განმავლობაში მიაწვდის კონსულტანტს შენიშვნებსა და კომენტარებს პროექტთან დაკავშირებით.

კონსულტანტი ვალდებულია, მგფ-ის კომენტარების მიღებიდან 3 დღის ვადაში, შეიტანოს სათანადო ცვლილებები პროექტში და საბოლოო ვარიანტი სატენდერო მასალებთან ერთად წარუდგინოს დამკვეთს.

კონსულტანტმა დამკვეთს უნდა გადასცეს დეტალურ პროექტი და სატენდერო მასალები დაბეჭდილი სამ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე.
წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსია (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები – AutoCAD და PDF ფორმატში).

6. დამკვეთის წვლილი

დამკვეთი კონსულტანტს გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

7. სამუშაოს ხანგრძლივობა

საპროექტო მომსახურების საორიენტაციო ვადაა 20 დღე.